კლდე

№ 34

16 გიორგობისთვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.







ვარშავა.

1) ქალაქის თვითმართველობის სახლი.

2) ლაზენკოვსკის სასახლე

წმ. იოანეს ტაძარი.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. მეთაური. 2. ომი და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა. 3. ბერსხექტივები. — **მხედარისა.** 4. ფაუსტ — ა. შ-ისა. 5. ბრესა. 6. ოსმალეთის სასომხეთოს ბედი. 7. უტნაური მოწოდება. 8. ცოტხალი ლეშები. — **ქართლელისა.** 9. მასალები სამედიცინარტიო კრებისათვის. — **მკვიდრისა.** 10. გერმანელთა ოცნებანი. — **დიოგენ-სა.** 11. ბალკანეთის საკითხი. 12. ჩვენი დაჭრილები. — **ნაცარაესი.**

თბილისი. 16 **გიორგობისთვეს**
1914 **წ.**

წარსულ კვირას არ დასრულდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კრება. შესაძლებელია, დღესაც არ დასრულდეს, მაგრამ საზოგადოება დინჯად და დარბაისლურად უნდა სჯიდეს ყოველ საკითხს. რომ აჩქარებით და წინანდებურის მიფუზეზებით არ შელახოს პატივისცემა იმ დიადი მიზნისადმი, რომელსაც ემსახურება ყველასაგან საყვარელი დაწესებულება. საკმარისი არ არის ეხლანდელი გამგეობის გატარება კრიტიკის ქარცეცხლში, საკმარისი არ არის საყვედურები, თუნდაც მეტად საფუძვლიანი, თუ ყველაფერი ძველ წესზედ დარჩება და არსებითი ცვლილებანი არ იქმნა შეტანილი ამ საზოგადოების ორგანიზაციაში. წარსულ ნომერში ჩვენ უკვე გვქონდა ბაასი იმ ძირითად ცვლილებათა შესახებ, რომელიც აუცილებლადა სჭირია საზოგადოებას და დღეს მარტო ერთი ღა უნდა დაუმატოთ, რომ შეძლების დაგვარად გავფანტოთ ის ბურუსი, რომელსაც ახვევს საგანსა ვინმე ბატონი ჯაფარიძე „სახ. ფურცელში“. „სახ. ფურც.“ კვლავ უთმობს ადგილს ისეთ წერილს, რომელიც გამგეობის ოფიციოზურ დაცვას მოგვაგონებს, თითქო საზოგადოებაში მართლაც ყველაფერი თავის რიგზედ კეთდებოდეს. ჩვენ არა გვსურს კამათის გამართვა ამ საკითხზედ, რადგან ყოველმა გულწრფელმა ადამიანმა რომ გულზედ ხელი დაიდოს და მართალი სთქვას, უნდა აღნიშნოს დღევანდელი უმწეო მდგომარეობა საზოგადოებისა. ჩვენ გვესმის, რომ საყვედურებით და დამნაშავეთა გამოძებნით საქმე არ გამოსწორდება, მაგრამ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს — შეიცვალოს ის **პირობანი**, რომელნიც აყენებენ საზოგადოებას ამ უმწეო მდგომარეობაში. ამ პირობათა გარდაქმნა პირველი მოვალეობაა ყოველი გულწრფელი ქართველისა და მათი მიჩქმალვა წუწუნით, რომ „ქართველ საზოგადოებაში 2—3 თუ მოიძებნება გამგეობის შესაფერიო“ — ტყუილუბრალო სიტყვების ხარჯვაა. შესაფერი ხალხი ბევრია, იქნებ ეხლანდელებშიაც, მაგრამ ისეთ პირობებში უნდა იყვნენ, რომ საქმის პატრონობა შეეძლოთ. უნდა სამუდამოდ განიდევნოს ის დახავსებული აზრი, რომ წ.-კ. გ. ს. საქმე მარტოოდენ საქველმოქმედო და საპატიო არის. იგი დიდი ეროვნული **საქმეა** და საქმეს ყოველოვის მოსაქმენი უდნა ჰყავდეს, ნამდვილი მუშაკნი. მაშ მოუწოდებთ კრებას, არჩევნებშიაც იხელმძღვანელოს მხოლოდ ერთის მოტივით, რამდენად **შეგნებული** აქვს ასარჩევ პირს თავისი მოვალეობა და რამდენად **შეუძლიან** ეს მოვალეობა შეასრულოს.

ომი და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა

ომამდე ყველამ კარგად იცის, რა უთანხმოებანიც იყო ქართველ-სომეხთა შორის. ამ უთანხმოებათა ფორმები და მათი დახასიათება სხვ.-და-სხვა სახეს იღებდა ჟამთა ვითარებაში და რომ ნათელ-ვყოთ დღევანდელი მოსპობა ამ უთანხმოებისა, საჭიროა ზოგიერთი მათგანი მოვიგონოთ.

ბ-ნ იშხანიანის და უკანასკნელად გამოსულ „Кавказскій журналистъ“-ის*) თანამშრომელის აზრით, ქართველ-სომეხთა ურთიერთობას ის გარემოება შობს, რომ ირღვევა ქართველთა რეაქციონურ-ფეოდალური წესწყობილება, რომ ადგილი დაუთმოს სომეხთა პროგრესიულ-კაპიტალისტურ ხანას და ამ ბურჟუაზიისა და ფეოდალების დავაში სცდილობენ ჩაითრიონ ქართველი და სომხური დემოკრატია არამკითხე მოამბეებმა; ჩაითრიონ ის ხალხი, რომელსაც არსებითად უნდა მეტად აინტერესებდეს კაპიტალიზმი, ვიდრე ფეოდალიზმი. ჩვენ აქ არ შეუდგებით კრიტიკას იმ ყალბი დებულებისას, ვითომც ეროვნულს მომენტს არავითარი მნიშვნელობა არა

*) ეს ნომერი გამოვიდა ამ ერთი კვირის წინად, რომ ფულს აგროვებდნენ დაჭრილთათვის.

აქვს ამ დავაში და მთელი საკითხი იშრიტება განსაკუთრებით წოდებრივ და კლასობრივ ბრძოლით; ამაზედ აღარაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ჩვენ აზრს ბ-ნ იშხანიანის წიგნის გარჩევიდან.

მეორე სადაო საკითხია ტერიტორიის საკითხი, რომელიც უკანასკნელ დროს სხვა-და-სხვა პირობების ზეგავლენით ეკარგება ქართველობას და გადადის უცხოელების ხელში, ნამეტნავად სომხებისა, როგორც უფრო შეძლებული ელემენტისა ამიერ კავკასიაში

მესამე და ყველაზედ მწვავე საკითხი ჩვენს შუა სადაო, საკითხია პოლიტიკური. უკანასკნელი, რასაკვირველია, ბევრი მიზეზის გამო, ეფარება ეკონომიურ-სოციალურ საკითხებს, იღებს ისეთ უცნაურ ფორმებს, როგორც მაგ. პოლიტეხნიკუმის საკითხი, გუბერნიების გადამიჯვნა, რეალური მოსახლეობა და სხ. და სხ.

მაგრამ ყველა ეს საბაბები ქართველ-სომეხთა უთანხმოებისა, დღევანდელი ომის და მისგან გამოწვეულ პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებათა მოლოდინის სიდიადემ შთანთქა. დღეს არ ისმის ლაპარაკი კავკასიაში რეალურ მოსახლეობაზედ, არ იზომება არსებულ გუბერნიების საზღვრები და სხ., რადგან დღევანდელი საერთო გასაჭირი მეტად დიდია, რომ აღნიშნულმა „წვრიმალებმა“ მიიქციონ ყურადღება, მაგრამ მაინც საჭიროა გაუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი ზრახვანი, რომ გაუგებრობით არ გართულდეს შემდეგში ჩვენი ურთიერთობა.

სომხური პრესა უკანასკნელ დროს თამამად აყენებს ერთ ფრიად საგულისხმო საკითხს: ოსმალეთის სასომხეთოს განთავისუფლებას. ეს პოლიტიკური ლოზუნგი თითქმის მთელ სომხობას აერთიანებს მიმართულების განურჩევლად. ზოგიერთ უთანხმოებას იწვევს მხოლოდ კონკრეტული ფორმა ამ თავისუფლებისა: ზოგს სურს ავტონომია რუსეთის პროტექტორატით, ზოგს კიდევ ავტონომია დიდ სახელმწიფოთა გარანტიით; ზოგმა ისიც კი სთქვა, რომ რუსეთის სახელმწიფო სახლს ბევრი ჰყავს უფლისწული, რომელსაც სომხეთის ცალკე პრინცობა შეეძლო და სხ. და სხ. ყველა ეს და ბევრიც სხვა სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ საგაზეთო სურვილადა რჩება იმისდა მიუხედავად, რომ რუსეთის პრესაც ეხება ამ საკითხს და ასე თუ ისე ამხნევებს სომხებს თავისუფლებისათვის თავის განსაწირავად. რაიმე რეალური, პოლიტიკური თამასუქი ან თუნდა დაპირება მაინც, სომხებს ჯერ არა აქვთ—ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცნობთ—და ძნელია ლაპარაკი იმაზედ თუ სინამდვილეში რა სახეს მიიღებს სომხების დღევანდელი მისწრაფება. არიან მაგალითად ისეთებიც (რუსებში და სომხებშიაც), რომელნიც უბრალო შემოერთებაზედ ლაპარაკობენ ოსმალეთის სასომხეთოსი რუსეთთან.

მაგრამ საკმარისი არ არის ვისმე რამე სურდეს, თუნდაც ეს ვინმე მთელი ერიც იყოს, რომ ეს სურვილი რეალურ სახეს მიიღებდეს,—ამისთვის საჭიროა გარდა შესაფერ პირობებისა, და მათი ღრმად აწონ-დაწონვისა,—საკუთარი უნარი და ძალაც მის მოსაპოებლად. აი სწორედ ამ ძალაზედ და პირობებზედ გვინდა შევჩერდეთ ცოტა, რომ შემდეგში გაგვიადვილდეს ახსნა იმ მოვლენათა, რომელნიც გავლენას იქონიებენ კავკასიელ ერთა ურთიერთობაზედაც.

სომხეთის ავტონომია ოსმალეთში ფრიად საინტერესო იქნებოდა, ნამეტნავად ქართველებისათვის, რადგან ესეთი მოწყობა სომხეთისა ერთის დაკვრით გადასჭრიდა ჩვენი ურთიერთისადმი უკმაყოფილებასაც, ვინაიდან განცალ-ცალკევდებოდა სფერო ჩვენის ცხოვრებისა: სომხებისათვის რეალური და მთავარი ბაზა გადავიდოდა ბუნებრივად ეხლანდელ ოსმალეთში და ჩვენ, ქართველებს, აღარ დაგვჭირდებოდა გაფანტვა იმ უცნაური სახელწოდებისა, რომელსაც დაჟინებით იმეორებენ უკანასკნელ ხანებში სომხები: **კავკასიელი**. „აღარ უნდა იყოს ქართველი, სომეხი, მუსულმანი, არამედ კავკასიელიო“, იმეორებენ დოლუხანოვები, ხატისოვები, და სიბირსკებიც... (ეს მით უფრო უჩვეულოა ჯერ, როცა მთელ ქვეყნიერებაზედ იმარჯვებს სწორედ ეროვნული ბრინციპი და ევროპაში, მათ რიცხვში სომხებიც განსაკუთრებულ ეურადღებას აქცევენ ეროვნებას, ერს... აქ კი შეთხზულია რაღაც „კავკასიელი“).

მაგრამ შესაძლებელია თუ არა განხორციელე-

ლება? სომხეთის ავტონომიისა ოსმალეთში? ჩვენს აზრით, ამისათვის, გარდა ოსმალეთის დამარცხებაგანაწილებისა, საჭიროა ერთი უმთავრესი პირობა, რომელსაც მოითხოვს ხოლმე რეალური პოლიტიკა: მოსახლეობის ერთგვარობა. ეს უკანასკნელი კი თვით სომხურ ოპტიმისტურ ცნობებით არ აღემატება „სომხურ“ ვილაიეთებში 38 პროცენტს. მართალია, დანარჩენი მოსახლენიც **ცალ-ცალკე** არ წარმოადგენენ უმრავლესობას, მაგრამ დღევანდელი საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, რაც უნდა იყოს, არავინ მოინდომებს დაუმორჩილოს 38 პროც. სომეხს დანარჩენი 62 პროც., თუნდაც უკანასკნელნი სხვა და სხვა ეროვნებისაგან შესდგებოდნენ; და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ნამდვილში სხვა ერები 62 პროცენტსაც აღემატებიან, საუბედუროდ სომეხთა ოცნებანი პოლიტიკურ ოცნებადვე დარჩებიან, რასაც საქმის რეალური მსვლელობაც ამტკიცებს. მაგრამ თუნდა ესეც არ იყოს, საჭიროა სომხების მომზადებაც ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის, ვინაიდან გაზეთების საშუალებით ავტონომიის დაპირებაზედ და მოპოებაზედ ადვილი არაფერია... ნამეტნავად მაშინ, როცა მთავრობა ამის ნებას გაძლევს. საკმარისი არ არის ისიც, რომ „სომეხთა უმოწყალო ჟლეტა საკმაო მსხვერპლია იმისთვის, რომ სომხები ავტონომიის ღირსად ჩაითვალნენ“. ესეთი სიტყვები პოლიტიკურ ლექსიკონში გულუბრყვილობად ითვლება. პირიქით, სომხების ჟლეტა რომ არ შესძლებოდათ ოსმალებს, მაშინ სომხების ავტონომია ბევრად უფრო მოახლოებული იქნებოდა. აი ამიტომ ჩვენ გვესმის, როდესაც სომხების თავისუფალ მოხალისეთა რაზმები სდგება აქ, კავკასიაში, და ოსმალეთში, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ჟლეტას, მაგრამ პოლიტიკურ სიბეცედ უნდა ჩაითვალოს ამავე დროს წამოყენება იმ საბუთისა, რომ სომხებს ხოცავენ ოსმალეთში. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჟლეტა, მათი უძლურების მაჩვენებელია, და უძლურებას, პოლიტიკაში საბუთად არა ხმარობენ არასოდეს. ან საიდან უნდა წარმომდგარიყო სომხების ძლიერება, როდესაც საუკუნოებით სდევნიდნენ მათ. საუკუნოების განმავლობაში შეიქმნა ტიპი სომეხ ვაჭარისა, რომელმაც შეიძინა ეკონომიური კეთილდღეობა, მაშინ როდესაც დიდი მასსა სომხის ერისა სიღარიბესა და საცოდაობაში ლევს სულსა ოსმალეთშიც და კავკასიაშიაც. ამასთანავე მარტო ეკონომიური ძალა საკმაო არ არის პოლიტიკური ორგანიზმ ს შექმნისათვის, რომელიც თანაბრად მოითხოვს ფინანსიურ ეკონომიურს და აგრედვე ფიზიკურ ძალთა სიძლიერეს. უკანასკნელის მხრივ კი სომხის ერში ვერ შეიქმნებოდა საჭირო ჯამი, რადგან მისი შექმნა რამდენიმე თაობის და ათი თაობის ცხოვრებაზეა დამოკიდებული. სომხის ერი, რომელიც უკანასკნელ საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა პოლიტიკურ დაცემას და მისდევდა განსაკუთრებით მიწად-მოქმედებასა და აღებ-მიცემობას, ბუნებრივად ჰკარგავდა სამხედრო უნარს, რომელიც მაგალითად შერჩათ თუნდა ქართველებს. ეს ბუნებრივი განსხვავება დღესაც ყოველ მხარეს იჩენს თავსა და ამიერ კავკასიის მმართველობაც კი შეიყვანა შეცდომაში, როდესაც მშვიდობიანობის დროს გამოჩენილი უპირატესობა, ომიანობის დროსაც უნდა გამოეჩინებინა სომხებისათვის. ახლა ვიფიქროთ, რითი დაიცავენ სომხები თავი ავტონომიას, თუნდაც მიიღონ იგი? პოლიტიკურ ორგანიზმის დაცვისათვის საკმაო არ არის ფული და თუნდაც საკმაო იარაღი — საჭიროა იარაღის თავგანწირული მატარებელიც და სწორედ ამას ვერ ვხედავთ საკმაო ფარგლებში განვითარებულს, რასაც უკანასკნელი დროის ამბები ამტკიცებენ.

ამ გვარად, ის, რაც მთელ სომხურ პრესას ჩვენც სასურველად მიგვაჩნია, ფაქტიურად მეტად ძნელი განსახორციელებელი იქნება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სომხების საკითხი უფრო მარტივად და ქართველ სომხების ურთიერთობისათვის არა სასურველად გადასწყდება და ოსმალეთის სომხეთი თუ რუსეთმა გაიმარჯვა, პირდაპირ შემოერთებული იქნება. უკანასკნელი კი ომის შემდეგ უფრო ცხა. უნდა ჰყოფდეს ჩვენ მიწა-წყალთა შუა სადემარკაციო ხაზის გავლებას. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.

ოსმალეთში მომქმედი სომეხთა რაზმელების ტიპები.

პერსპექტივები

ზოგს შეიძლება პარადოქსადაც ეჩვენოს, რომ საერთაშორისო ომი მხოლოდ იწყება და კი არა თავდება, მაგრამ ღრმად თუ ჩაუკვირდით იმ ამბებს, რომელიც განუწყვეტლივ მოაქვს ტელეგრაფსა და გაზეთებს—ამის გამოაშკარავება არც ისე ძნელია. თუმცა ომის დასაწყისში ბევრსა სწერდნენ იმაზედ, რომ გერმანიას შიმშილი და ეკონომიური კრიზისი უმალ დასცემს, ვიდრე მოკავშირეთა ჯარები დაამარცხებენო, მაგრამ თვით მისი მტრების მსოფლიო ბანაკებიდან დაჟინებით მეორდება ის აზრიც, რომ ის ქვეყანა, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემზადებოდა სწორედ ამ ომისათვის—საკმაოდ მოემზადა **ყოველმხრივ** რომ ომის ხანგრძლივობასაც გაუძლოს.

ეჭვი არ არის, საბოლოოდ გერმანია დამარცხდებული იქნება, თუ მსოფლიო ძალთა დღევანდელი განაწილება ამავე პროპორციით დარჩა, ან უმეტეს, თუ მოკავშირეებს, როგორც მოსალოდნელია, სხვანიც მიემატნენ; მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ მთავარი დებულება, რომ დღევანდელი მებრძოლი და არამებრძოლი სახელმწიფონიც განსაკუთრებით თავისი კერძო, ეგოისტური მოსაზრებიდან გამოდიან და მაშასადამე მათი ძალთა ზრდა დამოკიდებულია არსებულ სტრატეგიულ მდგომარეობის ვითარებაზედ. ვინც გამარჯვებით ივლის, მისი ძალაც გაიზრდება შიგნით და გარეშეთაგანაც, რადგან მხოლოდ გამარჯვებულის მიმხრობა, მომასწავებელია მომავალის მოგებისა, გარეშე მდგომ სახელმწიფოთათვის. მართალია, აქ როლს თამაშობს უფრო ეგოისტური მოსაზრებაც: სეირის ყურება, ვიღრე მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაასუსტებენ საბოლოოდ, მაგრამ ესეთი პოლიტიკის წარმოება მხოლოდ ისეთ დიდ სახელმწიფოთ შეუძლიანთ, როგორც მაგ. შეერთებული შტატებია. ბულგარეთი, რუმინია, ავღანისტანი, ჩინეთი და თვით იტალიაც მხოლოდ დროს უცდიან, რომ ჩაერიონ ომში და იხელთონ რამე.

რაღა თქმა უნდა, ისეთი დიდი სახელმწიფონი, როგორიც არის ავსტრია და გერმანია ერთის მხრით და რუსეთ-ინგლის-საფრანგეთი, მეორეს მხრით—ადვილად არ დაჰყრიან იარაღს და მართლაც საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ მსოფლიო ბატონობისათვის. ამიტომ ეს ბრძოლა შეუძლებელია თავისითაც მალე გათავდეს, მაგრამ მის გაგრძელებას უეჭველად გამოიწვევს სხვა სახელმწიფოთა ჩარევაც. ყოველ ერს, ყოველ სახელმწიფოსა აქვს პროგრამა მაქსიმუმი, რომლისათვისაც ის ემზადება, თუ პოლიტიკური ალღო აქვს და არასოდეს ისეთი დრო არ დასდგომია ქვეყნიერებას, როგორც ეხლანდელი, სავსე ყოველგვარი შესაძლებლობით. აი ეს შესაძლებლობაა თავდები იმისა, რომ ომში ჩაუთრეველი არ დარჩება დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც, დანარჩენი ქვეყანაც. ბულგარეთი, რუმინია, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია და სხ. ხომ უკვე დაჭიმული ნერვებით ადევნებენ თვალყურს ომის მსვლელობას, რომ იმათაც ფეხი გამოყონ და შორეული შტატები, ჩინეთი და ავღანისტანიც ჰაერსა ჰყნოსავენ—ჩვენთვისაც დადგება ომში ჩარევის დრო თუ არაო. ასეთ განწყობილებას ართულებს და ამწვავებს ათასგვარი სხვა ინტერესებიც, რომელთა ზეგავლენით ამერიკა ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ჩინეთში აჯანყებას ელიან, აფრიკაში უკვე ხდება კიდეც და სხ. და სხ.

ერთი სიტყვით დღევანდელი ომი, თავისი უდიდესი და უსასტიკესი ბრძოლების მიუხედავად, მისი თვალუწვდენელი ფრონტების და უთვალავი ჯარების მიუხედავად—მხოლოდ დასაწყისია უფრო დიადი მსოფლიო ტრაგედიისა, რომლის მოწამენიცა ვხდებით.

ამ დიად ტრაგედიაში, საცა იმსხვრევა კატასტროფიულად ყოველი წინანდელი კულტურა და იდეალი, რომ ახალს დაუთმოს ადგილი, ძნელია გათვალისწინება მომავალისა, მაგრამ ადამიანს

გონებას ერთი ღა აშოშმინებს, რომ მთელი ამ ტრაგედიის მსვლელობიდან, ყოველ კუთხეს მხოლოდ თავისი ზომის მსხვერპლი მოელის უკეთესი მომავალისათვის. აშოშმინებს ის ობიექტიური და იმავე დროს ეგოისტური ფსიხოლოგია, რომ ქვეყნის ნგრევის კატასტროფიდან, მას უწევს მხოლოდ ის, რაც მის საკუთარ კიდეებზედ მოხდება. აშოშმინებს ისიც, რომ იმედი, მანათობელი ცხოვრებისა, ეხლა მხოლოდ კარგს უქადის კაცობრიობას, რადგან უაღრეს მსხვერპლს, ადამიანთა სიცოცხლისას, უაღრესად მაღალი ჯილდოც უნდა ელოდეს მერმის.

მხედარი.

Ვ. ᲒᲘᲝᲢᲔ.

ᲤᲐᲣᲡᲢ*)

ტრაგედიის პირველი ნაწილი

(დამეა, ერთს ძველებურს და გოტიურს ოთახში მაგიდის წინ საგარძელში ფაუსტ ოფუსვენრად ზის).

ფაუსტ. ეჰ, შევისწავლე ფილოსოფია,
კანონმდებლობა და მკურნალობა,
აგრედვე დიდის, მხურვალე ჯაფით
ჩემს სამწუხაროდ ღვთის მეტყველობა,
მაგრამ, ვაი, რომ დავრჩი საბრალი
კვლავ უგუნური ბედკრულ დღიანი,
ვით უწინ ვიყავ, ეგრევ ჭკვიანი!
მცნობენ მაგისტრად, მცნობენ დოქტორად,
ხარისხი ჩემი ესრე მდებია
და მოწაფენი წალმა-უკუღმა
ჩერჩეტად ათს წელს მიტარებია
და მხოლოდ ვხედავ ჩემს სავალალოდ
არაფრის ცოდნა არ შეგვძლებია!
აი, ეს სტანჯავს ჩემს გულს, გონებას!
აი, ეს უსპობს სულს მოსვენებას!
მე თუმც ვჯობივარ სხვა სულელებსა:
დოქტორებს, მწერლებს ღა ხუცესებსა,
არცა მაწუხებს ეჭვი და რყევა,
არც ვუკრთი ქვესკნელს, არც ეშმაკებსა—
მისთვის წარელტო გულს სიხარული,
შვება შეიქმნა ჩემთვის დანთქმული!
ფიქრად არ მომდის, არც მომაქვს თავი,
ვითომც შემეძლოს რამის სწავლება
კაცთა ცხოვრების მოსაგვარებლად,
სიმართლის გზაზე დასაყენებლად.
არ მაქვს სიმდიდრე, არცა ქონება,
არცა პატივი, არცა დიდება,
ვარ მოკლებული ამა მსოფლიურს
მედიდურობას და ბრწყინვალებას!
არც ერთი ძაღლი არ ისურვებდა
ასეთ ყოფაში კიდევ ცხოვრებას!
მიტომ დავიწყე შემდეგ მისნობა
ეგების მავნე სულთა შეწევნით
იმათის ძალით, იმათის ენით
ზოგ საიდუმლოს მიმეღო ცნობა,
რომ აღარ მეთქვა კვლავ ოფლის დენით
რაც არ ვიცოდი, არცა მესმოდა
და არცა რამე გამეგებოდა.
რომ განმეკვრიტნა, თუ ამ სამყაროს
წიაღ შინაგან რა აკავშირებს,
შემეგნო ძალა შემოქმედისა
და დავხწევოდი მე ფუფსა სიტყვებს!

—

ახ, ნეტამც მთვარევ, პირბადრო მთვარევ, მაგ
შუქთა კრებას
უკანასკნელად ჰფენდე ჩემს ტანჯვას და მწუ-
ხარებას,
როს მე მრავალჯერ შუაღამენი გამიტეხია
აქ ამ წიგნებსა და ქაღალდებში ჩაფლულისათვის
შენ, თანაგრძნობის ნაღვლით აღსავსევ, გამო-
ჩენილხარ
და შუქი ჩემთვის მოგიფრქვევია!
ახ, რომ შემეძლოს მთის წვერვალამდის მე
ამაღლება,
მაგ შენს საყვარელს ბრწყინვალე შუქში შე-
მოერთება,
რომ მაღლა მყოფსა სულებთან ერთად ლა-
ღად მეფრინნა
და შანს წალკოტში ჟამსა ბინდისას შვებით
მეღხინა,
რათა ყოველგვარს ცოდნისა ბურუსს მთლად
განყვრილიყავ
და ჩემს საამოდ შენს ციურს ნამში განვბანი-
ლიყავ!

—

ვაგლახ! კვლავ დავყო მე ამ დილეგში?
ყრუ და დაწყევლილს საპყრობილეში?

---

*) თარგმანი გერმანულიდან, ა. შანშიაშვილისა.

სად თვით საამო სხივი ციური
ფერად სარკმლიდგან ნაღვლით მინათებს,
შემოვზღუდულვარ წიგნთა გროვისგან,
რაიც რჩენიათ საღირღნათ მატლებს
და შემჭვარტლული ძველი ქაღაღდი
ფარდად აკვრია მათ მაღალს თახჩებს.
მუშის ქილები შემომწკრივებით,
კედლები სავსე ხელსაწყობებით,
ჩემსა გარშემო მამა-პაპური
სახლის სამკობი ავეჯი ძველი;
აი, ეს არის შენი სამყარო!
ეს არის შენი წუთი-სოფელი!

—

და ამის შემდეგ კიდევ კითხულობ
თუ შენი გული რად იხუთება?
სიცოცხლისადმი მიდრეკილება
უცნობის ტანჯვით რად იბორკება?
ბუნების ნაცვლად, სადაც შემოქმედს
ადამიანი მოუქცევია,
შენ, ჩამხრჩვალს კვამლში და სიდამპლეში,
სიკვდილი, ნორჩი, გარს გახვევია!

—

აღზდექ! გაფრინდი ფართო მდელოსკენ,
მიიღე ლხენა, სიტკბო შვებისა!
განა არ კმარა გზის გასაკვლევად
ნოსტარდამუსის წიგნი გრძნებისა?
მაშინ შეიცნობ ვარსკვლავთ მსვლელობას
და როს ბუნება ზეშთაგაგონებს,
ძალა სულისა ზეამაღლდება
და ვით საუბრობს სული სხვა სულთან
მას შეიგონებს.
ანაოდ ჰფიქრობ, მშრალი გონება
წმინდა ნიშნისა იყოს ამხსნელი;
თქვენ, ჰეი, სულნო, ჩემსკენ მოფრინდით!
აწ მიპასუხეთ, თუ გესმით ჩემი!

(ᲒᲮᲡᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲠᲝᲒᲝᲡᲛᲣᲡᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲮᲡ ᲣᲛᲖᲣᲠᲡ)

ვიშ! რა სიცოცხლემ გადმოსჩქეფა ამ სანახავში
და მან პირველად გაირბინა ჩემს გონებაში!
ვგრძნობ ახალგაზრდურს და ღვთაებრივს სი-
ცოცხლის შვებას,
რაიც ძარღვებში ამდინარებს მხურვალე გზნე-
ბას.
ეს ღმერთი იყო, ვინც დახატა ესე ნიშანი,
რითაც მიყუჩდა შინაგანი სულის ღელვანი,
საბრალო გული სიხარულით, შვებით ივსება
იდუალობით სავსე ლტოლვით და მისწრაფებით
ბუნების ძალას მისგნით ირგვლივ ფარდა ეხ-
სნება
ღმერთი ვარ განა? ჩემთვის ახლა ყოველი
მნათობს!
ვხედავ ამ სპეტაკს სანახავში სულის წინაშე
ბუნება იგი შემომქმედი ჩემთვისა ცხადობს
და აწ პირველად შევიგენ თუ ბრძენი რას
ამბობს:
„სულის სამყარო უსაზღვროა და მარად ხსნილი,
„აზრია შენი დახშული და გული კი მკვდარი!
„აღზდექ, მოწაფევ! განიბანე ცისკრის სხივებში
„ეგ მიწიური მკერდი შენი მოუსვენარი.

(გამოსახულებას აკვირდება)

როგორ ყოველი მთლიანობას მიესწრაფება,
ერთი თავს ჰბადებს მეორეში, სიცოცხლე
ჩნდება.
ცის ძალნი როგორ ემსობიან, კვლავ ზესდგე-
ბიან
და ოქროს ჭურჭლად მთელს სამყაროს მიეწ-
ვდებიან,
კურთხეულ სუნთქვით ციდან მიწას ემსჭვალებიან
და ხმაშეწყობით ყველაფერში ხმაურდებიან!
რა თამაშია? მაგრამ ვაგლახ! მარტო თამაში?
შენ, უსაზღვროო ბუნებაო, მოგაგენ რაში?
სად გაქვს გულ-მკერდნი? შენი წყარო ცხოვ-
რებითია!
ცა და ხმელეთი სულდგმულობს და მასზე
ჰკიდია!
იქით ეს გული, მჭკნარი გული მოისწრაფება,—
ის ავსებს სოფელს, ის ანახლებს, მისით ირ-
წყვება!
იქით ვისწრაფვი, მაგრამ ვაგლახ, მე ღრმა
სურვილი
ამაო ნატვრად სატანჯველად გულშივე მრჩება!

(შურისკეთებით ᲒᲮᲓᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲐᲪᲥᲔᲠᲓᲔᲑᲐ).

რარიგ გარდამქნა ამ სხვა ხატებამ!
შენ, მიწის სულო, უფრო ახლო ხარ!
ვგრძნობ, ჩემი ძალა თავს იწევს მაღლა.
ვენთები, თითქოს ღვინით დავმთრალვარ!
ვგრძნობ გულადობას, რომ სამყაროს გავუთა-
მამდე,
აწ მზად ვარ ვზიდო სოფლის ტანჯვა, სოფ-
ლის სიამე,

მძაფრსა გრიგალსა შევებრძოლო, თავსა ვსწირავდე
და დანთქმის ტამსა არ გავიელო შიში, ძრწოლა მე.

მთვარე ღრუბლებს ეფარება—
ჩემს გარშემო იბურება—
ლამპარიც ჰქრება—
რა ხმაურდება?
წითლად სხივებმა იელვეს თავზედ!
ჯურღმულით მოშხუის გრიგალი საზარი.
შემიპყრო გლახ შიშმა და დამცა თავზარი.
ვგრძნობ, სულო მჭროლავო, ჩემს ირგვლივ შენა ხარ!
გამოჩნდი!
ჰა! რარიგ ჩემს გულში ბორგავს და მაშფოთებს.
მთლად ახალ გრზნობისკენ გონება მიტაცებს.
მთლად ჩემი ეს გული აწ შენით იმსჭვალვის
შენ უნდა გამოსჩნდე? შენ უნდა გამოსჩნდე
თუნდაც რომ ეს ხილვა სიცოცხლედ მიღირდეს!

(ხელში ჭბეუჯავს წიგნს და იდუმალობით ადგსილი ზესულის ნიშანს ამბობს. წითელი ალი იელვებს და გამოჩნდება ზესული).

ა. შ.

(შემდეგი იქნება).



ბელგიელების ტყვიის მფრქვეველები, რომელშიაც ძაღლები ჰყავთ შებმული.

ᲞᲠᲔᲡᲐ

6 გიორგობისთვის ნომერში გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს მეთაური წერილი შეეხება გერმანიისაგან ვითომ და გაუთავებელ ცდას, რომ რომელიმე სამტროდ გამოსულ სახელმწიფოსთან ცალკე ზავი ჩამოაგდოს და ამ ცდას „ნოვოე ვრემია“ სასტიკად ჰკიცხავს, შემდეგის ფორმით:

...მთელი ძალა გურმანულ პუბლიცისტებისა და სასოგადო მოდვაწეებისა მიმართულია იქითკენ, რომ მთელი სიძულვილი მიმართული იყოს ინგლისელებისაკენ. უოფილი ქალაქის თავი პოზნანისა ვიტინგი, რომელიც ეხლა ერთ-ერთი ბანკის გაკვლენიანი ხელმძღვანელია შეეროებულ შტატებში, ასე ახასიათებს ამ გახწუობილებას, — რომელიც ეკადრება ისტერიით გადარეულ კოკოს (?) და არა კომერციის ეფორსსა: „დმერთო, ჩვენ გვეჯავრება ეს კაიძეერათ და ავზაკთა ხალხი, (ინგლისელები) რომელიც



ანტვერპენი. ცენტრის სადგური.

სისხლით მორწყო მთელი დედამიწა. ფრანგებისადმი ჩვენ თანაგრძნობითა ვართ გამსჭვალულნი და სიბრალულითაც; სიძულვილი რუსებისადმი თანდათან ნელდება. პირიქით, ინგლისელებისადმი სიძულვილი თანდათან იზრდება შეუკავებლად. ინგლისელებს ჩვენ ვებრძოლებით უკანასკნელ ადამიანამდის; ჩვენ არ მოვითხოვთ ბოდიშს და არც ერთი ინგლისელს არ დავზოგავთ". ეს რომ გაათავა, დირექტორმა დაუმატა, რომ ეს სიტყვები თანატოლისა კი არა, არამედ საზოგადოების დამჯდარ მოდგაზისაგანაა წარმოთქმული.

არ შეიძლება არ ადინიშნოს, რომ ინგლისელებიც ასევე უპასუხებენ გერმანელებს. ცნობილი რომანისტი უელსი წერს „ტიმესში" იმ ხასიათზედ, რომელსაც მიიღებდა ომი, თუ ვინიცობაა გერმანელებმა დასტლი მოახდინეს ბრიტანიის კუნძულებზედ. ეს წერილია,—ამბობს „ნოვოე ვრემია" უნდა გადაეცეს ყველა იმ იურისკონსულტებს, რომელნიც ახლანდელ დროში თავს ატეხენ გერმანიზმთან ბრძოლის საკითხს. «თუ საქმე გერმანელების გადმოსახმადე მივიდა,—წერს უელსი,—ჩვენ ძალიან ცოტა ანგარიშს გაუწევთ თეორეტიკოსებისაგან შეთხზულ წესებს. ჩვენი ბრძოლა გერმანელებთან სამკვდრო-სასიცოცხლო იქნებაო. დეე, ექსპერტები და სპეციალისტები საერთაშორისო უფლებისა ნუ გვაშინებენ „წესებით". თუ ეს სპეციალისტები ხელს შეგვიშლიან, ყველას დავხოცავთ, მათ სახლებს დავწვავთ და გავანიავებთ, რომ ხელფეხი გახსნილი გვქონდეს. ის სასასტიკეე, რომელსაც იჩენენ გერმანელები ბელგიაში ჩვენ არ გვაშინებს. ყოველ ჩამორჩენილ გერმანელს ჩვენ დავხვრეტავთ, თუნდ ქურდულად მიპარვითა — პოეტრებს ჩამოვადგებით და ჯარისკაცებს ნაგუწ ნაგუწად ვაქცევთ. ჩვენი ბრძოლა გერმანელებთან, ომი კი არ იქნება, არამედ განუწყვეტელი ამოყლეტა (Линчеваніе) . ასე ამბობენ ინგლისელები და სამწუხაროა, რომ კონტინენტზედ მოიპოვებიან ისეთი ფორმალისტები, — უმატებს „ნოვოე ვრემია", რომელნიც არ გაიყდინანენ გერმანულ ძალადობასთან ასეთი ბრძოლის აუცილებლობითო.

ერთ-ერთისადმი სიძულვილი გერმანელებისა და ინგლისელებისა, ეტყობა მეტად სასტიკ ფორმებს იღებს. საზოგადო აზრი ორ პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოსი ითხოვს სასიკვდილო ბრძოლას, როგორც უელსი ამბობს, და მხოლოდ ერთში სცდებიან გერმანელები—უმატებს „ნოვოე ვრემია": ტუოლოდ ჭკონიათ, **რომ არის ან შეიძლება იყოს** განსხვავება ერთის მხრით ინგლისელთა და მეორეს მხრით რუსეთ-საფრანგეთის გრძნობათა შორის. გერმანელები იმეორებენ უელსის სიტყვებს, როგორც რადაც არაჩვეულებრივს, სასტიკს. ძალიან სამწუხაროა, რომ არ ესმით უბრალო რამ: უელსი ამბობს იმას, რასაც ფიქრობს ყოველი ფრანგი, ბელგიელი და რუსი. გერმანელებმა ჩვენ ყველას მოგვაბეზრეს თავი: დაზოგვას და სეპარატულ ზავს ისინი ვერსად ედირსებიან.

ჩვენ არ ვიცით სად ამოიკითხა „ნოვოე ვრემიამ" უელსის სიტყვები, მაგრამ თუნდაც ეს წამოეროლოს ერთ ადამიანს, კაციჭამიის ფსიხოლოგიით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანი, რომ მი-

სი აზრი გაასაზოგადოვოს და ქვეყნის ბაზარზედ გამოიტანოს. ინგლისის მთავრობა და პროგრესიული პრესა, რომელიც უკეთესი გამომსახველია ინგლისელთა სულისკვეთებისა--თამამად ამბობს, რომ იგი ებრძვის არა ყოველ გერმანელს და გერმანელ ხალხს, არამედ პრუსიის მილიტარიზმს; იგი ამბობს, რომ გამოდის საერთაშორისო უფლების და კანონების დასაცავად და სწორედ **ამით** იზიდავს მთელი ქვეყნის სიმპატიას და უელსის მართლაც ისტერიული სიტყვები,—თუ კი სადმე დაიწერა, - მარტო „ნოვოე ვრემიასთანა“ გარეცხილ რედაქციებში თუ იპოვის გამოძახილს რუსეთშიაც. რუსეთის პროგრესიული პრესა ვერ აჰყვება ისეთ გამხეცებულ ძახილს, რომელიც ამბობს „აფიცრებს ჩამოვაღჩობთ და ჯარისკაცთ ნაკუწ-ნაკუწად დავგლეჯავთო“ და ტყუილად ახვევს თავის ღვარძლიან გულის ნადებს ბატონი „ნოვოე ვრემია“ რუსეთის მოსახლე 160 მილიონ ხალხსა... მეტს აღარას ვიტყვით.

ოსმალეთის სასომხეთოს ბედი

„კავკ. სლოვო.“-სთან პოლემიკაში, „ჰორიზონი“ ამბობს:

„სომხურმა ბრესამ გამოსთქვა ის აზრი, რომ ოსმალეთის სომხებს უნდა მიეცეს ფაროე ავტონომია; ექვსი სომხური ვილაიეთი და კილიკია უნდა ავტონომიურ მხარედ იყოს აღიარებული. მაგრამ აქ იბადება გაუგებრობა, რომელსაც იზიარებს „კავკ. სლოვო“. ოსმალეთის სასომხეთოს მაგიერ, გაზეთი სწერს საზოგადოთ სომხეთის ავტონომიაზედ. „კავკ. სლოვოს“ აზრით, როგორიც უნდა ორგანიზაცია შეიქმნეს ოსმალეთის სომხებისათვის, იგი გამოიწვევს მთელ რიგს საკითხებისას კავკასიაში. რითი ხელმძღვანელობს „კავკ. სლოვო“, ამ გვარ საკითხის აღძვრაში, ამ სისხლის წვიმების დროს, როდესაც კავკასიელი სომხები დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ოსმალეთის სასომხეთოთი. სომხები დაპარაკობენ განსაკუთრებით ოსმალეთის სასომხეთოს ავტონომიაზედ. საკითხს ოსმალეთის სომხებისა, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს, ჩვენ არას დროს არ უკავშირებთ ჩვენ სახელმწიფოს შინაგან საკითხებს, მაშასადამე კავკასიელ სომხებზედ დაპარაკი შეუძლებელია. ეს ცხადი უნდა იყოს რუსულ ბრესისათვისაც. საკითხი კავკასიელ ერებისა არ უნდა იყოს გადაბმული იმ დავასთან, რომელსაც უწევენ სომხები ოსმალეთს და არავის უფლება არა აქვს აურიოს ერთმანეთში ეს ორი საკითხი, ნამეტნავად იმათ, ვისაც სურს გამომსახველი იყოს ოსმალეთის სომხების სულისკვეთებისა“.

მთელი ეს წერილი ამოღებულია გაზ. „Баку“-დან № 253. ჩვენ არ გვინდა ეცვი შევიტანოთ გაზ. „ჰორიზონის“ გულწრფელობაში, ვითომც კავკასიელი სომხები არ კუავშირებენ კავკასიელ ერთა საკითხს ოსმალეთის სასომხეთოს საკითხს, თუმცა ამისი უტყუარი საბუთები გვაქვს თვით „ჰორიზონისაგან“ ნაბოძები, მაგრამ ვსთქვათ ესეც არის,—ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ორი მნიშვნელოვანი მოვლენა. ჯერ ერთი, „კავკ. სლოვო“ მეტ პოლიტიკურ ლოღიკას იჩენს ვიდრე „ჰორიზონი“, როცა ერთმანეთს აბამს ორ საკითხს: კავკასიელ სომეხთა და სხვა ერთა—ერთის მხრით და ოსმალეთის სასომხეთოს საკითხს მეორე მხრით; რადგან შეუძლებელია ეს საკითხები ცალკე იყვნენ განხილულ-დამტკიცებულნი; და მარტო სირაქლემასავით თავის მალვას ან მართლაც „სისხლის წვიმებას“ თუ შეუძლიან **დროებით** კავკასიელ სომეხთა საკითხი მეორე პლანზედ გადასწიოს ოსმალეთის სასომხეთოსთან შედარებით. ასეთივე უცნაურობამ იჩინა ხომ თავი მაშინ, როდესაც საკითხი აღიძრა გალიციელ უკრაინელების შესახებ. მაშინაც გამოირკვა, რომ გალიციელ უკრაინელებს თუ ავტონომია მიეცათ, ანუ უკეთ--თუ შერჩათ, მაშინ რუსეთის უკრაინელებსაც უნდა მიეცეთ ავტონომია, ვინაიდგან შეუძლებელია ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთი და იგივე ერი ორ სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენდეს—ეს სახელმწიფოებრივ მთლიანობის იდეას ძირიანად დაარღვევდა ასევეა საკითხი სომხებისაც, და ჩვენა ვფიქრობთ, რომ საკითხის გადაწყვეტა კი არა, უბრალო მიფუჩეჩება იქნებოდა „ჰორიზონის“ მიერ განცალკევება ამ **ერთი** საკითხისა, ვინაიდგან, გავიმეორებთ, სახელმწიფო ვერ მოითმენს პოლიტიკურ სიჭრელეს და ან ძველ გზას დაადგება, ე. ი. ყველა და ყველგან მოსახლე ერთა ათქვეფას ერთმანეთში, ან ახალს, ე. ი. ფართე თვითმართველობისას და მაშინ კავკასიელ სომხების

საკითხიც ბუნებრივად დაუკავშირდება ოსმალეთის სომხებისას.

შესაძლებელია „კავკ. სლოვოს“ და „ჰორიზონის“ სულისკვეთება არც იყოს შეთანხმებული, რადგან „ჰორიზონი“ სომხეთის მთავარ ბაზას ხედავს ოსმალეთში და იქ ეძიებს უკეთეს პოლიტიკურ ბედსა, მაშინ როდესაც „კავკ. სლოვოს“ კავკასიელი ხელმძღვანელნი მეტად შეგუებულნი არიან კავკასიის სიამტკბილეს, რომ ოსმალეთში გადაიტანონ მთელი თავისი პოლიტიკური მისწრაფებანი. ამ მხრივ „კავკ. სლოვო“ უფრო გულახდილიც არის და უფრო პოლიტიკურად მოაზროვნეც, მხოლოდ ერთს ივიწყებს „კავკ. სლოვო“, რომ იგი „სლოვო“ არის და „დელო“ კი სულ სხვას წარმოშობს ხოლმე.

უცნაური მოწოდება

ქუთათური გაზეთი „ახალი აზრი“ გვატყობინებს, თითქოს ოზურგეთში ვიღაცას გაევრცელებინოს მოწოდება, ქართველებმა ოსმაალებთან მეგობრული განწყობილება უნდა იქონიონ და მათის დახმარებით, ჭანებთან და ლაზებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინონო.

ჩვენ არ ვიცით იყო მართლა ასეთი ფურცელი თუ არა. არც ის ვიცით, როგორ და რანაირი საშუალებით ვრცელდება იგი ხალხში, ან ვინ არის მისი ავტორი და გამავრცელებელი. მაგრამ ასეთი ფურცელი მართლაც რომ არსებობდეს, იგი ოდნავადაც ვერ შეარყევს იმ საერთო სულიერ განწყობილებას, რომელიც დღიდან ომის გამოცხადებისა ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრდა.

რუსის ჯარს აქვს საკმაო ძალა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიფაროს და დაიცვას ყოველი შემთხვევისაგან.

ეს რწმენა იმდენად დიდია და ერთსულოვანი, რომ ყოველივე ცდა, რაიმე ეჭვი დაჰბადოს ქართველ ხალხში და შეუცვალოს შეხედულება, უნაყოფოდ ჩაივლის.

(„ს. გ.“)

ცოცხალი ლეშები

ქართველ ერს დიდათ გვიყვარს წარსულით თავის ქება. ეს საძრახისი არ არის, პირიქით, საქებურიც არის. ან რატომაც არ უნდა ვამაყობდეთ ჩვენი წარსულით, როდესაც იგი დიდებას ჰღალადებს? მერე ვინ ჰქმნიდა ამ დიდებას? რა თქმა უნ- ქართველი ერი! მერე, ვინ განამტკიცებდა მის რწმენას? ვინ აქეზებდა მამულის სიყვარულში? რა თქმა უნდა, ჩვენი სახელოვანი სამღვდელოება, რომელიც არა თუ ერის სულის ჩამდგმელად გამოდიოდა, არამედ იმ **საუნჯის შემნახველადაც**, რომლითაც დღეს ჩვენ ვამაყობთ, სახელდობრ **ჩვენი ისტორიის** გადმოცემით. წარმოიდგინეთ შავ-ბნელი ხანა, ხანა აღრეკისა და შიშის ზარის, როდესაც ურდოთა შემოსევის დროს ერი გარბოდა მთასა და ღრეში. გაიხსენეთ, თუ ამ დროს ჩვენი საბა-ბერნი როგორ მიმოივლიდნენ მთა და ბარსა, როგორ გაამხნევებდნენ დიდს და პატარას! მაგრამ აი, უფრო საინტერესო სურათი: სადღაც შიყრუებულ სენაკში, სადაც მყივარნი, ორბნი და მჭუხარე ქარიშხალნი მხეცთა ყმუილის კონცერტს შეჰხლართვიან, ვიღაც მწირი სასოებით ლოცულობს; მორჩება ლოცვას, კვარს აინთებს და დიდი სიფრთხილით მოჰყვება ან სამღვთო წერილის გადაწერვას, ან და. ნახულის აღწერას. აი, მას მელანი შემოაკლდა, იგი კანს იკაწრის, საკუთარის სისხლით განაგრძობს წერას. სწორედ ამ დაუღალავმა შრომამ, ამ განწირულმა სულისკვეთებამ შეაძლებინა ჩვენს საამაყო მამებს ჩვენთვის ეანდერძებინათ ის აუარებელი ძეგლნი, რომლითაც თვით ბრიტანიის მუზეუმებიც თავს შეიქებდნენ. რამდენი რამ არის დატოვებული! რამდენი რამ იღრღნება რჩილით და უპატრონობით. ვინ არის ამის ყურისმგდებელი, ვინ? იქნებ გგონიათ, რომ ჩვენი სამღვდელოება აქცევს მას ყურადღებასა? მაგრამ სად არის! თვითეული მათგანი ცოცხალ ლეშად გარდაქცეულა, უსაქმოდ მჯდარი, კანცელარიაში თუ შინა, თავისთვის სივდება და ლპება. განა ღირსნი არიან თავიანთ წინაპართა სახელწოდების? აბრეშუმის ანაფორა, ოქროს ჯვარი, აი მათი იდეალი! თუ ძველად სისხლის ცრემლებით სწერდნენ, დღეს მყუდროებაში ოქროს კალმებით მათი გადაწერა და მოვლაც ვერ მოუხერხებიათ. თუ ძველად მამები ხმლითა და ჯვარით ერს მიუძღოდნენ წინ და ჯალათთა წინაშე არა

კრთოდნენ, დღეს ჩვენი მამები პოლიტიკურ ზამორის სუსხის დროს გაზაფხულს ელიან და გაზაფხულიდან კვალად ზამთარს, მაშინ ამოვიღებთ ხმას, ეხლა არა გვცალიანო! რუსი ბიუროკრატი ნ. დურნოვო ამაოდ ამტვრევს სიფხიზლის კაკალს, ამაოდ მოუწოდებს ჩვენს სამღვდელოებას თვით ისეთ კანონიერ მოთხოვნილებისათვის, როგორიც არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ... იგივე ძილი... იგივე სიცოცხლითვე ლპობა... სიდამბლე! მაშ რის მაქნისია დღევანდელი სამღვდელოება? რაში იჩენენ შრომის უნარს? არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა მათ არ აინტერესებთ, ისინი სულიერად დაიხოცნენ! თუ გამოვაკლებთ ეპ. კირიონს, დავითს, ლეონიდეს, დეკანოზ კ. კეკელიძეს რომელიც ათას თანამდებობასაც უძღვება და სამეცნიეროდ თავის ძალ-ღონეს არ იშურებს, მაშინ დავინახავთ, რომ ჩვენი სამღვდელოება გროშად არა ღირს, არც ერთ ფარად! მათი მისია უდარდელობისა და სიმსუქნის მიღწევაში გამოიხატა. მათ მიაღწიეს მიზანს და სწორედ ამ მიზნის მიღწევამ გარდაჰქმნა ცოცხალ ლეშებად.

ქართლელი.

მასალები სამელიორაციო კრებისათვის

(დამატება)

რომანოვის ფონდის კანონ-პროექტის უკეთესად გასაცნობად, ჩვენ საჭიროდ ვსთვლით გავაცნოთ მკითხველებს ზოგიერთი სხვა კანონ-პროექტები, რომელთაც რამოდენიმედ დამოკიდებულება აქვთ საერთოდ რუსეთის სამელიორაციო საქმეებთან.

მოყოლებული 1909 წლიდან, ვიდრე 1914-დე სამელიორაციო კრებებზედ იყო განხილული მთელი რიგი საკითხებისა, რასაც განსაზღვრული დადგენილება მოჰყვა.

რუსეთის სამელიორაციო კრების საბჭომ შემდეგში თავი მოუყარა ყველა ამ დადგენილებათ, განხილულ საკითხებიდან გამოარკვია საქმის ვითარება და გამოიტანა თავისი დასკვნანი; მთელი მასალა გამოსცა ხუთ წიგნაკად, რომლებშიაც მოქცეულია საკითხები: საორგანიზაციო, სამოსწავლო, სამეცნიერო და საფინანსო; ყოველი ამათაგანი ცალ-ცალკე.

აქ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში ამ კრების საბჭოს გადაწყვეტილებისა.

1) მიწის გასაუმჯობესებელი ამხანაგობანი. მიწათ-მოქმედების და მიწათ-მოწყობის უწყებამ შეიმუშავა კანონ-პროექტი მიწის გამაუმჯობესებელ ამხანაგობათა, რომელიც ემყარება შემდეგ პირობებზედ. ამხანაგობას შეადგენს რამდენიმე პირი, რომელნიც შეიმუშავებენ წესდებას და წარუდგენენ გუბერნატორს დასამტკიცებლად. ნიმუში ასეთის წესდებისა უკვე შემუშავებულია მიწათ-მომწყობ უწყებისაგან.

ახლად შემდგარ ამხანაგობათ შეუძლიანთ შეიტანონ ასეთ წესდებაში შეცვლა ფსონის (პაის) რაოდენობისა და გასავალის მოწესრიგების შესახებ. ასეთი ცვლილება შეუძლიან შეიტანოს წესდებაში ამხანაგობამ თუ მსურველია ამხანაგობის შემადგენელობის ორი მესამედი ან ორ მესამედზედ მეტი.

როდესაც ამხანაგობა გააუმჯობესებს რომელიმე წევრთაგანის მიწას ან გასწევს რაიმე ხარჯს მისთვის, შეუძლიან აგრედვე ასწიოს ან დასწიოს გადასახადი წევრისა იმისდა მიხედვით თუ რამდენად სარგებლობს იმ საქმით, რომელიც გააკეთა ამხანაგობამ, ან თუ სარგებლობს რამდენიმე წევრი მაშინ ამ წევრებს დააკისრებს გადასახადს სარგებლობისა დაგვარად.

თუ ამხანაგობამ თავისი მოქმედებით ასარგებლა და მიწა გააუმჯობესა ისეთ პირსაც, რომელიც ამხანაგობაში არ არის და არცა ჰსურს ამხანაგად შესვლა, მაშინ ამხანაგობას შეუძლიან კანონით მოითხოვოს ამნაირი პირისაგან მისი შესაფერისი გადასახადი. თუ ამხანაგობის საქმე მოითხოვს თავის მოქმედებას ისეთი პირის მიწაზედაც, რომელიც არ არის წევრი ამხანაგობისა და წინაც აღუდგა ამხანაგობას საქმის განხორციელებაში, ამ შემთხვევაშიაც ამხანაგობამ უნდა სამართლით მოითხოვოს წინააღმდეგ პირისაგან თანხმობა,

ყოველი ამგვარი მოთხოვნილება ამხანაგობათა კერძო პირებისადმი უნდა იყოს მიმართული სამაზრო კომისიაში სასოფლო მეურნეობის წესდების მე-160 მუხლის ძალით.

წევრი რომ გამოვიდეს ამხანაგობიდან საჭიროა თანხმობა მის გასვლაზედ ამხანაგობის შემადგენლობის ორი მესამედისა ან მეტისა.

ამხანაგობა შეიძლება მოისპოს მხოლოდ მისი ყველა წევრის სურვილით.

2) სამელიორაციო მოქმედება საერთო ხასიათისა.

მიწათ-მომწყობ უწყებასავე აქვს შემუშავებული კანონ-პროექტი მიწის გაუმჯობესებისა და გაუმჯობესებულ მიწის გაფუჭებისაგან გადარჩენისა, როდესაც ამ საქმეს ეწევა არა კერძო პირი ან საზოგადოება, არამედ ერობა ან მმართველობა.

ამ კანონ-პროექტის მთავარი დებულებანი შემდეგია.

თუ ერობას ან მმართველობას სწადიან შეიტანოს რამე გაუმჯობესება მამულში, ან გაუმჯობესებულ მამულის შენახვაზედ ზრუნვა საერთო სარგებლობისადა მიხედვით, მაშინ ურთიერთ თანხმობით ამართავენ ერთად კრებას, რომელზედაც განიხილავენ საქმის ტეხნიკურ მხარეს, სამოქმედო მამულის რაოდენობას და ხარჯის გაღების რაოდენობას.

შესაფერისი საქმის გამორკვევა ასეთის პროექტის შესადგენად ხდება თანახმად სასოფლო მეურნეობის წესდების მე-264 მუხლისა. (კანონ. კრებული, ტომი III, ნაწ. მე-2, 1903 წლ. გამოც.).

როდესაც ტეხნიკურ პროექტს შეადგენენ ასეთ საქმისათვის საერობო ან სამმართველო დაწესებულებანი, შემდეგში შეიმუშავებენ წინასწარ ხარჯთაღრიცხვას, თუ ვინ რამდენი ხარჯი გასწიოს: ერობამ, ხაზინამ და კერძო პირებმა და აცნობებენ ამას იმ დაწესებულებებს და იმ პირთ, ვისაც საქმე შეეხება.

დასასრულ, ხარჯის განაწილებისა სამელიორაციო საქმისთვის, რომელსაც საერთო სარგებლობა მოაქვს, ხარჯს გადაიხდიან: ა) ხაზინისას—მთავარი სამმართველო მიწათ-მოწყობისა და მიწათ-მოქმედებისა, ბ) ერობისას—საერობო კრებები თვისი დამტკიცებით და გ) კერძო პირებისა—თვით კერძო პირნი. თუ კერძო პირთ უარი განაცხადეს ხარჯის გაღებაზედ, მაშინ მათს წინააღმდეგ იწარმოებს ზემოდ დასახელებული მე-260 მუხლი სასოფლო მეურნეობის წესდებისა სამაზრო კომისიის საშუალებით.

როდესაც პროექტი შემუშავდება თვისის ტეხნიკურის მხარით და დამტკიცდება მიწათ-მომწყობ მთავარ სამმართველოსაგან, მაშინ საქმის დამწყები დაწესებულება, ერობა იქნება ის თუ მმართველობა, მიჰმართავს კერძო პირთ, რათა იგინი შეუდგნენ საქმეს ან ცალკ-ცალკე, ან კიდევ ერთად როგორც საზოგადოება.

მკვიდრი.

გერმანელთა ოცნებანი

მას შემდეგ, რაც ომის ღმერთმა ევროპის სახელმწიფოთა ზარბაზნების კონცერტი დააგუგუნა, სიკვდილის ლანდმა წამოჰყო თავი და შემზარავი სახით თავზე დაჰხარხარებს არა თუ პატარ-პატარა ერებს, არამედ თვით პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებსაც კი. განსაკუთრებით სიმკაცრემ თავი იჩინა გერმანიისა და ინგლისის შუა: „ან ერთი, ან მეორე!“ აი ის დამახასიათებელი სათაური, რომელიც დაერქვა მათ წინ გადაშლილ ომის ველსა.

რატომ მოხდა, რომ უმთავრესად ეს ორი სამეფო შეეჯახა? რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ მარტო გერმანელების მიერ ბელგიელთა ნეიტრალიტეტის დარღვევა? რა თქმა უნდა, არა! ამაზედ ორთავეს თავ-თავიანთი გასამართლებელი საბუთები აქვთ: უმთავრესად მეტოქეობა! ინგლისი ზღვათა-დედოფლად ითვლება. მთელი საზღვაო ვაჭრობა მის ხელთ იყო. აღმოსავლეთი, დასავლეთი თუ ჩრდილო-ამერიკა ვაჭრობის მთავარი ასპარეზი იყო, სადაც მისი აფრა-გაშლილი ხომალდები დასცურავდნენ. მაგრამ დადგა დრო, ბისმარკის მიერ გაერთიანებულმა გერმანიამ წელი გაიმაგრა. მისი ზრდა დღითი-დღე საოცარ სახეს იღებდა. შინა მრეწველობა, გარედ კიდევ ხელის გაშლა და ნელ-ნელა ახალ-ახალი ხომალდების აგება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ინგლისს, შურის ძიება ისადგურებდა მის გულში, რომ მოხერხებული მომენტი შეერჩია და ადრევე ფრთები დაეყრევინებინა ტევტონთა ველურ გენიოსობით მოსაზრდოვე თანამედროვე გერმანიისთვის.

მაგრამ თუ ფრთხილი ზღვის დედოფალი ამ ფიქრებში იყო, თავის მხრით, წათამამებული გერმანიაც ოცნების ფრთებსა შლიდა, გულში თავის მომავალ ბედს ნეტარებით შეჰხაროდა, უკვე შარავანდედით მოსილ მომავალ გერმანიის იმპერიას ბროლის კოშკებად აშენებდა და ხალხსაც ამ სანეტარო დღისთვის ამზადებდა. რაში გამოიხატა ეს სამზადისი? ან რატომ ვერავინ ამჩნევდა მას? ამ კითხვებზე რომ ვუპასუხოთ, საკმარისია ოდნავი თვალი გადავავლოთ დღევანდელ ომის გამო თვალ-გახელილ პრესას, რომელიც ფარდასა ჰხდის გერმანელთა უკანასკნელ ხანებში გამოსულ ლიტერატურას, სადაც ნათლადა სჩანს მათი ზრახვანი, მათი ოცნებანი. სანიმუშოდ თვალი გადავავლოთ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ ანგარიშებს გერმანელთა კაზმულ ლიტერატურაზე: ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გერმანიაში გამოსულა ერთი რომანი: „მომავლის ომი“, სადაც ინგლისსა და გერმანიის შორის ომის შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ. მართალია, რომანში ინგლისელები პირველნი გადმოდიან გერმანელთა ტერიტორიაზე, მაგრამ საბოლოოდ ეს უკანასკნელნი იმარჯვებენ. არის მეორე რომანი, სადაც აწერილია ომი, რომელიც ვითომც 2006 წ. მოხდებოდა, ე. ი. ტეხნიკის საოცარ განვითარების დროს. 1905 წ. რომანისტს ნიმანს დაუწერია მოთხრობა „გერმანელის ოცნება“, სადაც თითქმის აღშფოთებით აღნიშნავს ინგლისის საზღვაო ბატონობას, რომელიც მალე მთელს მსოფლიოს ხელში ჩაიგდებსო“. აქ ავტორი გადაჭრით აღნიშნავს, რომ ამ გვარ ბატონის თავიდან მოსაცილებლად საჭიროა გერმანია და რუსეთი შეერთდესო.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ერთი ეპიზოდის აღწერა, სახელდობრ გერმანელთა ჯარების გადასხმა ინგლისში: გერმანელთა ჯავშნოსნები ნელნელ უახლოვდებიან შოტლანდიის ნაპირებს. „ვილჰელმ-დამპყრობელიდან არც ერთმა უძლიერესმა მტერმა ინგლისისამ, თვით ფილიპე II-მ და ნაპოლეონმაც კი ვერ მოახერხეს ინგლისის მიწაზე ჯარი გადაეყვანათ. ნუ თუ გერმანია კი მოახერხებს?“ შემდეგ აწერილია, თუ წყალ-ქვეშა ნავებით როგორ გადადიან ედინბურგ-კესტილის ნაპირებზე და აქედან მიეშურებიან ლონდონისკენ. ნაპირზე გერმანიის ფლოტი ჰყარაულობს, რომელიც ინგლისისას დაამარცხებს და ომსაც ბოლო მოეღება. ინგლისი გერმანიის ახალშენადა ხდება.

ამ გამარჯვებით დამთვრალი მხედართმთავარი სიამოვნებით ივსება, თვალები უბრწყინავს: „დღევანდელი დღე დიდებული დღეა,—ამბობს იგი: დღეს მათი დიდებულება ჩვენი იმპერატორი ლონდონში შებრძანდება. ღმერთმან ინებოს, რომ ეს იყოს უკანასკნელი ომი მომავალ გერმანიის საბედნიეროდ!“

ასეთი ოცნებით იკვებებოდა თანამედროვე გერმანია. ვ. ფრიჩეს მოწმობით, ეს რომანი თითქმის ახალგაზდობის სახელმძღვანელო წიგნად გარდაიქცა. ახალგაზრდათა იმედები თავბრუ დამსხმელ სიამაყემდე გადადიოდა და მოუთმენლად ელოდა სანატრელ დროს. ამ ჟამმაც დაჰკრა. ომის ნანინათი აღზრდილი ახალგაზდობა ხმილსა და მუზარადს იკრავს და ინგლისის დამარცხების იქით მთელ ქვეყნის დაპყრობაზე ოცნებობს...

დიოგენი.

ბალკანეთის საკითხი

სამთა შეთანხმების დიპლომატები, რაც ძალი და ღონე აქვთ, ცდილობენ ბულგარეთი და სერბია ერთმანეთს დაუახლოვონ. მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, დაინტერესებული მხარეები ვერ ურიგდებიან ერთმანეთს.

ბულგარეთის პასუხისმგებელი დიპლომატი, რომელიც ამ მოკლე ხანში სოფიაში მოვიდა და ძალიან კარგად იცნობს ბულგარეთის მთავრობის სურვილებს, ამბობს:

„სანამ ბუქარესტის ხელშეკრულობა არსებობს, ბულგარეთისა და სერბიის დაახლოვებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ ბულგარეთი სერბიას მიეშველოს, სანამ ძველად-

მანვე ბულგარეთის კუთვნილი მაკედონია სერბიას ეჭირება. ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი, ბულგარეთის პოლიტიკური მოდვაწენი დამოუკიდებლად, პარტიულ განსხვავებისა, მთელი ბულგარეთის ხალხი, სულ იმას ლაღადებს, რომ ბულგარეთს ჯერ უნდა მაკედონია დაუბრუნდესო. მართალია, ეხლა იმას ჩაგვჩურჩულებენ, თქვენი ეროვნული საკითხი მაკედონიით არ განისაზღვრება, თქვენ უნდა იზრუნოთ ბალკანეთის მეორე ომის დროს წართმეული ფრაკია ადრიანოპოლიანთ დაიბრუნოთო; ცდილობენ ბულგარეთის სურვილები ამ მხარისაკენ მიმართონ, მაგრამ ბულგარელები ფიქრობენ, ადრიანოპოლი ბალდის და ბოლოს უიმისოდაც ისევ ჩვენ დაგვრჩებაო. იქნება, ბულგარეთისათვის არც კი არის ომი საჭირო, რომ ადრიანოპოლი დაიბრუნოს. იქნება, თუმც ჯერ არ არის დამტკიცებული, ოსმალეთი დასთანხმდეს კიდეც და უდავიდარაბად გადმოგვცეს ადრიანოპოლი, თუ კი ბოლგარია ნეიტრალიტეტს დაიცავს. მაგრამ ამაზე დაპარაკი მერმე; ამ საათს მორიგ საკითხად ეს არ ითვლება. მე სხვა გარემოება მაღელვებს. რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, პრესასა და მთავარ დიპლომატებს შორის,—არაოფიციალურად,—ბულგარეთს ათასნაირ მოთხოვნილებათა უყენებენ წინ და ამასთანავე დაპარაკობენ რადაც ძალიან გამოურკვეველ, ბუნდოვან კომპენსაციებზე. როგორც სჩანს, მარტო სერბიამა და საბერძნეთმა კამათახეს სრულიად რეალური, კონკრეტული წინადადება. ხომ მისცეს საბერძნეთს ეპირის დაჭერის ნება, ხომ სერბიასაც დაჭირდნენ, ბოსნიას, ჰერცეგოვინას, დალმატიას და კიდევ სხვა რამეს მიიღებო. აბა რას დაჭირდნენ ბულგარეთს, რისთვის უნდა იხსნას ბულგარეთმა მისთვის საზიზღარი სერბია,—სერბია, რომელიც არ დაკმაყოფილდა მაკედონიის წართმევით და,—როგორც დანამდვილებით ვიცით კიდეც,—ზავით შეეკრა საბერძნეთს და რუმინიას ბულგარეთის წინააღმდეგ? არა, ბულგარეთი სერბიის გადასარჩენად არ გაეშვება, ვერ გაბედავს დონკიხოტურ წამოსახსნამის მოგდებას და ახალ ავანტიურას არ გამოეკიდება. ბულგარეთის წინ კონკრეტული მიზანი დგას, კონკრეტული საკითხი, რომლის მიღწევასაც ეცდება. თავის დღეში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბულგარეთი უმაკედონიოთ ვერ იარსებებს. ეს ადგა და ომეკაა ჩვენი პოლიტიკური საკითხებისა და ჩვენ ეროვნულ ზრახვათა. მე არ ვამბობ,—სთქვა ბოლოს დიპლომატმა,—რომ კომპრომისები სრულიად შეუძლებელი იყოს, მაგრამ თუ იქნება, ისიც მხოლოდ ამ ნიადაგზე და ისიც ისეთი, რომელიც ბულგარეთის სურვილებს კმაყოფილებთ და იშტიბით არ განსაზღვრავს. ეს ბულგარეთს არ დააკმაყოფილებს, ამაზე ბულგარეთი არ დაჭყეტა". („რუს. ვედ.")

ჩვენი დაჭრილები

თბილისში ხმა გავრცელდა, რომ ქართველ დაჭრილებს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში ჰგზავნიან: არმავირში, პიატიგორსკში, კავკავში და სხვა ქალაქებში.

ვერ წარმოგვიდგენია, რომ საქართველოს სატახტო ქალაქში ქართველ დაჭრილებისათვის ადგილი არ ყოფილიყოს.

მით უფრო, რომ ყველა სხვებისათვის ასეთი ადგილები მრავალია.

რით ავხსნათ ასეთი მოვლენა, როდესაც ქართველ დაჭრილებს სამშობლოს აშორებენ?

ან უნდა ავხსნათ ჩვენი ქართველობის დაუდევრობით ან და როგორც ხმები ქალაქში დადის ტენდენციურ ამორჩევით:

სომხებს აქ არჩუნებენ, ქართველებს კი იქა ჰგზავნიან.

თუ მართლა ასეა... ვწუხვართ...

ჩვენის წარმოდგენით თბილისის ყველა ლაზარეთები ყველა ეროვნებისათვის საერთო უნდა იყოს...

არ უნდა იყოს ქართული, სომხური და რუსული ლაზარეთები, არამედ ლაზარეთები ყველა დაჭრილთათვის.

სადაც სომხის სისხლი იღვრება იქ არა ნაკლებ ქართველ ერისაც და რუსებისაც იღვრება...

მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს უცნაური ხმები არ არის მართალი და ქართველ დაჭრილ მეომართაც თბილისის ლაზარეთებში საკმაო საწოლებს დაუთმობენ და წესიერად მოუვლიან ავადმყოფებსაც.

ნაცარა.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფასი წლის ბოლომდის თოთხმეტი შაური

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთესთან

თბილისში გ ა ზ ე თ ი

„ახალი ქართლი“

გამოდის ქ გორში, კვირაში ორჯელ—ხუთშაბათობით და კვირაობით. ცალკე ნომერი ღირს **ერთი შაური.** დაკვეთით წლის დამლევამდე 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან ვიქ. მექანარიშვილთან, დოშეთის ქუჩა № 31.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.